ცნობის ფურცელი

№ 2087 ოთხშაბათი, 5 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2087

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 5 მარტს,

ქ-ნთ მ. საფაროვ-აბაშიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძისა, ანდრონიკაშვილისა, მელიქოვისა და ბ-ნთ ვ. აბაშიძის, კოტ. მესხის და გ. ანანიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I
(ქართულად)
გემრიელი ლუკმა
კომედია 3 მოქ. დ. ერისთავისა
II
(სომხურად)
თაგვის ბრალია
კომ. 1 მოქმ.
III
(ქართულად)
ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ
კომ. 1 მოქმ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ მოწაფეთათვის 50 კაპ., ქანდარაზე ფასები დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
გამგე წარმოდგენისა მ. აჯამამულოვი.
(3—3)

წარმოდგენა 40 ტელეფონი 617
იაფ ფასიანი წარმოდგენა
ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 6 მარტს, 1903 წ.
დაკლებულის ფასებით
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
მტარვალი
დრამა 5 მოქ. ი. ლაზარიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი და გალუსტოვისა. ბ. ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ავანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი და სხვ.

ადგილების ფასები: ლოჟები 4 მან. 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 2.-მ-მდე, ამფითეატრი 60 კ-დან 1 მ.-მდე, გალერეია 20 კ-დან 35 კ-მდე. შეგირდებისთვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „მურად-ფაშა", „ოტელლო", „ქეთევან წამებული", „მედეია".
რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯიხაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

ლ. ა. ბილემანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდეს 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოზბოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ვენერიულის ავადმ. 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნასარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში, სამხედრო საბჭოს დარბაზში, მოხდება რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განყოფილების ნამდვილი წევრი სამთო ინჟენერი მ. ა. შოსტაკი წაიკითხავს მოხსენებას თავის მოგზაურობის შესახებ რაჭასა და სვანეთში. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დასწრება; შესვლა უფასოა.
(უ. 3—3)

თავმჯდომარე
ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკისა

ამით ვაცხადებ, რომ ვისაც ჰსურს დააგიროს ქუთაისის ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლისა და ქალაქების უძრავი მამულები, შეუძლიან მიჰმართოს ბანკის მმართველობისაგან აგენტად დანიშნულს ნ. ს. ბუბუშვილს, რომელიც სცხოვრობს ტფილისში, ცერკოვნი ქუჩაზე, № 22.

თავმჯდომარე მმართველობისა გ. მელნიკოვი.
(ნ. 3—3)

ორიოდე სიტყვა „კვალს"

არ გვეგონა, თუ „კვალი" ისეთ სიბინძურეს იკადრებდა, როგორიც თავის უკანასკნელ №-ში ჩაიდინა! არ გვეგონა მიუხედავად იმისა, რომ ამ გაზეთმა მთელი პოლემიკა ჭიათურის საქმეებისა გამო არა საკადრის ნიადაგზე დააყენა. ჩვენ ერთ წუთსაც არ შეგვიტანია ეჭვი იმაზე, რომ კვალელების ოპპოზიცია კერძო ინტერესით ან ანგარებით იყოს გამოწვეული, იმ ვაჟბატონთ კი თავიდანვე გამოაცხადეს, რომ ჩვენ საზოგადო ინტერესი-კი არა, პირადი ანგარიშები გვალაპარაკებს ბ. ზდანოვიჩის სასარგებლოდ. ჩვენ ეს ყოვლად შეუწყნარებელი პოლემიკური ტონი აღვნიშნეთ და ვსთხოვეთ „კვალი"-ს ხელმძღვანელთ—ფრთხილად ყოფილიყვნენ, ვთხოვეთ ჩაჰფიქრებოდნენ თავის ბრალდებას და იმედი გვქონდა, რომ, რადგან საქმე გულწრფელ მოღვაწეებთან გვაქვს, ჩვენს გულწრფელობასაც იწამებდნენ და მიხვდებოდნენ, რომ ჩვენც საზოგადო ინტერესი გვალაპარაკებს ამ საქმეში, თუმცა, მათის აზრით, შეცდომით გვალაპარაკებს. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, რასაც ძალიან ვწუხვართ, რადგან მოწადინებული ვიყავით „კვალთან" სულ სხვა კილოთი გველაპარაკნა...

ჩვენს მოწოდებაზე „კვალმა" არა თუ არ გამოსცვალა პოლემიკის ხასიათი, უარესებიც მოგვაყარა. ბ. მარმალაძემ მთელი წერილი დაჰბეჭდა, რომელშიაც ამტკიცებდა: „მათთვის საყურადღებოა არა სიმართლე, არა საქმის სამსახური, არამედ საქმის ხელში ჩაგდება და ჯამაგირების შერჩენა. აქ მთელი კითხვა მდგომარეობს არა საქმის გამორკვევაში, არა საზოგადოების ნამდვილ სამსახურში, არამედ მხოლოდ ბ. ზდანოვიჩის დაცვაში და მით დაცვაში მთელი მისი ჯგუფისა". „კვალი"-ს მეორე პუბლიცისტმა ბ. თოფურიძემ, ამ ტიპიურ „ნედოროსლ"-მა, რომელმაც არსებითად არცერთს ჩვენს წერილზე პასუხი არ გაგვცა და მხოლოდ ილანძღება, ჩვენ სიტყვებს ამახინჯებს და სხვა-და-სხვა ცილისწამებას თხზავს,—ამ პუბლიცისტმა ბ. მარმალიძის სიტყვებს დასძინა: „ნუ-თუ შესაძლებელია, ადამიანმა ქურდობა პრინციპიალურად დაჰგმოს და პროფესსიონალურს ქურდს კი ქურდობაში ხელი შეუწყოს? რასაკვირველია არა. ვინც ქურდობას ხელს უწყობს, ის ქურდობას პრინციპიალურად არ უარყოფს" და სხვა. ჩვენ ეს ვაჟბატონი ყოველ სისაძაგლეს გვწამებს, ხოლო „კვალი"-სა და თავის მომხრეების შესახებ, რასაკვირველია, სულ სხვა აზრისაა: „კვალელებსო, ამბობს ის, პატიოსანი და გონიერი ადამიანი ვერ დასწამებს ანგარებას, ვერ დასწამებს, რომ რომელიმე მათგანს რაიმე პირადი ინტერესი ამოქმედებდეს"... ერთის სიტყვით, აქ ჩვენ ვხედავთ „კვალი"-ს ჩვეულებრივ პოლემიკის ტაქტიკას: თუ უწინ მისი ბელადების ცდა იმაზე იყო მიმართული, რომ ხალხის სამსახური თავის მონოპოლიად გადაექციათ, ახლანდელმა ხელმძღვანელებმა ესეც აღარ იკმარეს და უბრალო ადამიანური რიგიანობაც თავის მონოპოლიად ჰსურთ დასახონ. მოდით და ესაუბრეთ ამ ბატონებს! მათ კიდევ უკვირსთ, რად შევწყვიტეთ კამათი ჭიათურის საქმეებზე. რა უნდა გვეპასუხა „კვალი"-ს ბრალდებაზე ანგარებისა, კერძო ინტერესების სამსახურისა და ბურჟუაზიის გამოქომაგების შესახებ? ზიზღის მეტი არაფერი, მაგრამ ჩვენ თავი შევიკავეთ, რადგან ვხედავდით—ბრძოლამ მეტად გაიტაცა კვალელები და იმედი გვქონდა, როცა მეხუთე კრების მიერ ატეხილი განგაში დაწყნარდება, კვალელთ თვითონ შერცხვებათ ბევრის თავის სიტყვისა. სამწუხაროდ, აქაც მოვტყუვდით: „კვალი", დინჯის განხილვის მაგიერ, აჰყვა ქუჩის მეჭორეთ, უმეცარ ცილისმწამებელთ და, როგორცა ვთქვით, სიბინძურეც ჩაიდინა.

ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა სასაცილოდ აიგდო ვიღაც უმეცარი ჰორიკანები, რომელნიც ყოველს ადამიანის მოქმედებაში ცუდ სარჩულს ეძებენ ყოველთვის („კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების"). „კვალი"-ს რედაქციამ—რიგიანობის მქადაგებელმა რედაქციამ—არც აცივა, არც აცხელა და უმეცარ ქვემძრომელთა მითქმა-მოთქმა ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტად მიიღო და თავის გაზეთში გამოჭიმა. ახლა მივხვდით რაშიაც ყოფილა საქმე: თურმე ლალი ნათესავი ყოფილა ზდანოვიჩისა, ხოლო ამხანაგობას ფული უსესხებია ქუთაისის ბანკიდან, რომელშიაც ზდანოვიჩი საბჭოს თავმჯდომარედ არისო! რა სულმდაბალი უნდა იყოს ამგვარ სისაძაგლის გამომთქმელი და რა მოკლე ჭკუის პატრონი უნდა იყოს ამგვარ ულოღიკობის დამსკვნელი! აი ჩვენებური ლიტერატორები, რომელთა სულის სიმდაბლე და განუვითარებლობა იქამდის აღწევს, რომ დედაბრების ხელობას წამოავლეს ხელი: შეუდგნენ გენეალოგიის შესწავლას და ჩვენის თანამშრომლების ნათესაობის კვლევა-ძიებით ჰსურთ დაამტკიცონ თავისი ჭუჭყიანი ბრალდებანი. ნუ-თუ ერთ წუთსაც არ ჩაჰფიქრდა „კვალი"-ს პუბლიცისტი, რომ არ ვარგა ასეთის დახავსებულის იარაღის ხმარება პოლემიკაში, რომ ძნელია გაზეთის რედაქციას დასწამონ რომლისამე მოღვაწის მიდგომა ნათელ-მირონობისა და ნათესაობის გამო?! ნუ-თუ მოწინააღმდეგეს პიროვნების იმდენი პატივისცემა არ უნდა ჰქონდეს, რომ უბრალო ადამიანურ რიგიანობასაც ართმევ მას და ამცირებ ყოვლად უსაბუთოდა და უსამართლოდ?! აგვიხსნას „კვალი"-ს პუბლიცისტმა: 1) თვითონ ის დაიმდაბლებს იმდენად თავის თავს, რომ გამოესარჩლება თავის ნათესავს, თუ დარწმუნებულია მის ბოროტებაში? 2) ნუ-თუ ნათესაობა ავალებს კაცს უთუოდ აძაგოს თავისი ნათესავი, თუმცა ეს ნათესავი პატიოსან და ენერგიულ მოღვაწედ მიაჩნია? 3) რას იტყვის „კვალი"-ს პუბლიცისტი, რომ ჩვენც შევუდგეთ კვალელების ნათესაობის გამოძებნას და მათ შორისაც აღმოვაჩინოთ ნათესაობა ჭიათურის ოპპოზიციის ბელადებთან?.. ვარწმუნებთ „კვალს", რომ ჩვენ სასირცხოდ მიგვაჩნია ამ კითხვების მიცემა, ლიტერატურაში და საზოგადო მოღვაწეობაში ნათესაობაზე ლაპარაკი, ამგვარ ბრალდებაში თავის მართლებაც! ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით, თუ ახალგაზრდათა რედაქციის წევრნი იმდენად დაიმცირებდნენ თავიანთ თავს, რომ ყველას, ვინც მათსაებრ არ სჯის და მათის აზრის არ არის, უთუოდ ან მოქრთამულად აღიარებდნენ, ან ნათესაობის მიმდევარად ლიტერატურასა და საზოგადო საქმეში!..

ჩვენ ვსთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ზდანოვიჩი არაფერ შუაშია ამხანაგობის მიერ ფულის სესხების საქმეში. იმდენი რიგიანობა მაინც დაიცვან კვალელებმა, რომ საზოგადოების პატივის ცემა იქონიონ და ნუ რყვნიან მას ასეთის ბინძურის სიცრუის გავრცელებით, ვითომც ქუთაისის საურთიერთო ბანკის მმართველნი (გამგეობის სამი წევრი, საბჭოს დანარჩენი 5 თუ 4 წევრი და ბოლოს მთელი საზოგადოება) ზდანოვიჩის ყურმოჭრილი ყმები იყვნენ და მის დასაცველად ქრთამებს იძლევიან, ვითომც ბანკმა იმიტომ მისცა ამხანაგობას სესხი, რომ „სამაგიეროსაც გამოელოდა", ესე იგი, ზდანოვიჩის დაცვასაო... ამხანაგობას ამ ორის წლის წინად მართლა დასჭირდა ფული. რადგან სესხის აღება ამხანაგობისათვის ქუთაისის ბანკში უფრო ხელ-საყრელი იყო, ამიტომ მიჰმართა ქუთაისის საურთიერთო ბანკს; მიჰმართა პირ-და-პირ გამგეობას და არა ბ. ზდანოვიჩს. გამგეობამ პატივდებაში მიიღო ამხანაგობის თხოვნა და ჩვეულებრივის სიფრთხილით მოიქცა: ტფილისში ჩამოვიდნენ გამგეობის თავმჯდომარე ბ. პ. თუმანიშვილი და გამგეობის წევრი ბ. მ. ქუთათელაძე; მათ დაწვრილებით დაათვალიერეს ამხანაგობის სტამბა და სხვა დაწესებულებანი, გაიცნეს მისი საქმეები, მისი კრედიტობის ძალა და ყოველივე მოახსენეს გამგეობისა და საბჭოს შეერთებულ სხდომას, რომელზედაც გადაწყდა ფულის სესხების საქმე. ბანკი აქ არაფერს არ აგებდა, პირიქით იგებდა და ამიტომ მისცა სესხი ამხანაგობას მით უმეტეს, რომ იგი ხელს უმართავდა ქართულ დაწესებულებას. ასე იყო საქმე და საზოგადო კრებამ ამ გარემოებაშიაც მოიწონა გამგეობის მოქმედება. მხოლოდ უმეცარსა და ჭუჭყიანს ადამიანს შეუძლიან აქედან ის დასკვნას, ვითომც მთელი ქუთაისის საურთიერთო ბანკი, რომელსაც დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს მოპოვებული მთელს ჩვენს ქვეყანაში, ამხანაგობას აძლევდა სესხს იმ ხერხიანის მოსაზრებით, რომ 2 წლის შემდეგ „ცნობის ფურცელი" ზდანოვიჩს სამსახურს გაუწევსო!..

კმარა! ჩვენ იმასაც ვწუხვართ, რომ ასეთის სიბინძურის გამო ამდენი ლაპარაკი დაგვჭირდა. ჭიათურის მრეწველთა საქმე ჩვენ საზოგადოებრივ მნიშვნელობის მხრით გვაინტერესებს და რაც ბრალი დავდევით „კვალელთა" ოპპოზიციას, ის უკან არ მიგვაქვს. „კვალი" ტყუილად ჰფიქრობს, ვითომც სიბინძურისა და ცილისწამების გავრცელებით გავა ფონს და რიგიან საზოგადოებას დაარწმუნებს იმაში, რაც დასაჯერებელი არ არის.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ბოლგარიის ეხლანდელი სამინისტრო მეტად კრიტიკულ მდგომარეობაშია. მის მომხრეთა შორისაც კი დიდი უკმაყოფილებაა.

მრავალტანჯულ მაკედონიაში კი ისევ სისხლის ღვრაა: მაკედონელი ებრძვის თავის მტარვალს. აჯანყების ცეცხლმა ისევ იფეთქა, რადგან რეფორმის იმედი ხალხს გაუცრუვდა.

„მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთის ჯარი მაკედონიაში გაძლიერებულია (საბერძნეთის საზღვრებიდან წამოიყვანეს), რევოლიუციონერების რაზმები ერთბაშად გაჩნდნენ, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო. დაიწყო სასტიკი ულმობელი ბრძოლა; გამარჯვებული ჯერ რევოლიუციონერები არიან, რაც უფრო და უფრო ამხნევებს თავ-დადებულ მამულისშვილებს.

არ სძინავთ ფანატიკოს ალბანელებსაც, რომელნიც შემთხვევით სარგებლობენ და მუსრს ავლებენ ქრისტიანებს.

მაჰმადიანების ჯარი დამშეულ კალიასავით მოედო სოფლებს და არბევს. ხალხს სახლებიდან აგდებენ ამ სიცივეში და თვითონ კი არხეინად მათ საწოლში ისვენებენ; ხალხი დაიმშა, რადგან ყველაფერი წაართვეს. სადაც ჯარის კაცი არ არის, იქ ალბანელი მძვინვარებს. არ კმაყოფილდებიან ძარცვა-რბევით, ქალებისა და ბავშვების გაუპატიურებით, სახლებსაც ცეცხლს უკიდებენ და სწვავენ. სამართლის გამჩენი არავინ არის".

როგორც ვხედავთ, ცუდათ დაიწყო ავსტრია-რუსეთის რეფორმების განხორციელება.

◆ სერბიის ერთ გაზეთში მოყვანილია ოსმალელის აზრი მაკედონიის რეფორმების გამო:

„რას ითხოვთ ჩვენგან? უკითხავს ოსმალელს; თქვენ ითხოვთ, რომ მოგეცესთ თავისუფლება და ის უფლებანი, რომლითაც განათლებულ ქვეყნის შვილები სარგებლობენ? ჩვენ, ოსმალებმა, რომ ეს მოთხოვნა აგისრულოთ, ხომ ჩვენისავე ხელით გამოვიჭრით ყელს! განათლებული და განვითარებული სერბი თუ ბოლგარელი თავის დღეში არ გახდება ოსმალელი პატრიოტი; იგი მუდამ იმის ცდაში იქნება შეუერთდეს თავის განთავისუფლებულ თანამოძმეთ... რაღა მოუვა ოსმალეთს, თუ ეხლა გამაჰმადიანებულ სლავებ შორისაც გაიღვიძებს ეროვნული გრძნობა? მაჰმადიანობა და ოსმალეთი სინონიმებია; ურთმანერთოდ არსებობა მათ არ შეუძლიათ ევროპაში. წმინდა ოსმალური ელემენტი ეხლა აღარ არის— იგი მე-XV-ე საუკუნეში გაჰქრა და რომ გამაჰმადიანებული ქრისტიანები არა, ევროპაში კვალიც აღარ იქნებოდა ოსმალეთისა. ეხლანდელი ოსმალეთი შეჰქმნეს არა სისხლით ერთმა ოსმალებმა, არამედ მაჰმადიანებმა, რომელთაც სარწმუნოება აერთებთ... ამიტომაც არის, რომ ჩვენი არსებობა ევროპის ოსმალეთში მხოლოდ მანამდეა შესაძლებელი, სანამ სარწმუნოება გვაერთებს და სანამ ეს სარწმუნოება ჩვენი ეროვნობის გამომხატველი დარჩება. როცა გამაჰმადიანებულ სერბსა ან ბოლგარელში გაიღვიძებს ეროვნული გრძნობა, ოსმალეთი დაიღუპება. ამიტომაც არის, რომ ჩვენ არასოდეს არ დავსთანხმდებით ხალხის განვითარებასა და მის ეროვნულ გათვითცნობიერებას. ეს ხომ ჩვენი სიკვდილი იქნება! როგორ იქცევა ავსტრია ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, თუმცა ავსტრიას თავი მოაქვს განათლებულ და დაწინაურებულ სახელმწიფოდ. განა ამ სახელმწიფოს მთავრობაც ამ გვარ პოლიტიკას არ მისდევს? იგი უმტკიცებს ხალხს, რომ სარწმუნოება ეროვნებაა, რადგან ეშინია, რომ გამაჰმადიანებული და ქრისტიანი სერბები არ შეერთდნენ! იგი ლალატობს სიმართლეს და სცდილობს დაამტკიცოს, რომ ბოსნიელი, ე. ი. სერბი, სერბი არ არის. ჩვენ, ოსმალები, არასოდეს არ ვუკრძალავთ ქრისტიან სერბს თავის თავს სერბი უწოდოს, და რაც შეეხება გამაჰმადიანებულებს, საბედნიეროდ, ამათ უდიდეს შეურაცხყოფად მიაჩნიათ, ვინმემ რომ გაოსმალელებული სერბი უწოდოს.

არა, არავითარი რეფორმა არ უნდა შემოიღონ მაკედონიაში, პირიქით, აუცილებელი საჭიროებაა, რომ გდევნონ და დაგამცირონ, რომ მთავრობის მორჩილი გახდეთ. რეფორმების შემოღება ჩვენი ინტერესის წინააღმდეგია".

მეტად გულწრფელი აღსარებაა ოსმალელისა და ეს გულწრფელი აღსარება ცუდი ნიშანია მაკედონიის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც და კიდევ უფრო თვით ოსმალეთისათვის. როგორც სჩანს, ოსმალეთის ინტელიგენციაც კი არ არის მსურველი, რომ მაკედონიაში რეფორმები შემოიღონ. ცხადია, ეხლაც ბევრს ეცდება ოსმალეთი, რომ რეფორმა ქაღალდზე მოხდეს და არა ნამდვილად. მაგრამ როდემდის ეყოფა ოსმალეთს ძალა ასეთ წინააღმდეგობისათვის? იმ დღეს, როცა გამაჰმადიანებული ქრისტიანი, რომელსაც ეხლა თავი ოსმალელად მიაჩნია, შეიგნებს თავის ეროვნულ ვინაობას, ოსმალეთი დაიღუპებაო, ამბობს ზემოხსენებული ოსმალელი, და თანაც იმით ინუგეშებს თავს, რომ დღეს ეს გამაჰმადიანებული ქრისტიანი შეურაცხყოფად მიიღებს, თუ მას მისი ნამდვილი სახელი დაუძახეო. თუ მარტო ეს არის გარანტია ოსმალეთის არსებობისა, სანუგეშო ცოტა რამ დარჩენიათ ოსმალელ პატრიოტებს. მართალია, მაჰმადის სარწმუნოებამ განსაცვიფრებელი ძალა და ცხოველმყოფელობა გამოიჩინა; ვერც ერთი სარწმუნოება ვერ დაიკვეხნის ისეთ გავლენას ხალხის ცხოვრებაზე, როგორიც მაჰმადიანობას ჰქონდა და დღესაც აქვს. მაგრამ იგი ვერ შესძლებს შეაჩეროს ნამდვილ კულტურის გავრცელება; კულტურის გავრცელება კი აუცილებლად გამოიწვევს ეხლა დაბეჩავებულ ხალხების აღორძინებას, რომელიც უთუოდ ეროვნულ ნიადაგზე უნდა მოხდეს.

ახალი ამბავი

◆ ორშაბათს, 3 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი დემერმანი სამსახურის საქმეებისა გამო ბაქოს წავიდა.

◆ ამას წინად მიწათ-მოქმედების სამინისტროს დეპარტამენტს წინადადება მიუცია აგრონომის ტიმოფეევისათვის შეედგინა სახელმძღვანელო ჩაის მოვლა-მოშენების შესახებ. ეს წიგნი ქართულს ენაზე უნდა დაებეჭდათ დეპარტამენტის ხარჯით და გაევრცელებინათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა შორის. რადგან ბ-ნს ტიმოფეევს მინდობილება უკვე შეუსრულებია, მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა მოსწერა რწმუნებულს ბ-ნს მიდვედევს, გადაათვალიეროს წიგნი და, თუ მოიწონებს, განკარგულება მოახდინოს იმის გადასათარგმნად ქართულ ენაზე, დასაბეჭდად და გასავრცელებლად.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭომ შარშან ბრაზილიაში შავი-ქვის საქმის გამოსაკვლევად გაჰგზავნა სამთო ინჟენერი ბ-ნი გ. დეკანოზიშვილი. ბ-ნ დეკანოზიშვილს, როგორც გვატყობინებენ, სამი მეოთხედი თავის მოხსენებისა უკვე დაუსრულებია და გამოუგზავნია საბჭოსთვის ქუთაისში. მოხსენებაში მრავალი ცნობაა თურმე ბრაზილიის შავი-ქვის წარმოების შესახებ. ბ-ნ დეკანოზიშვილის მოხსენების განსახილველად, როგორც შევიტყეთ, შავი-ქვის მრეწველთა საგანგებო კრება მოხდება.

◆ ამ თვის ნახევარში შეუდგებიან მუშაობას სახალხო სახლის ასაგებად დიდის მთავრის ქუჩაზე. როგორც ვუწყით, ეს სახლი შენდება კ. ზუბალაშვილის მემკვიდრეთა მიერ შეწირულ ფულით. საძირკველი უკვე ჩაყრილია და აქამდე მუშაობა შეაჩერეს ცუდის ამინდების გამო.

◆ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანოვმა განცხადება შეიტანა გამგეობაში ქალაქის მიერ პურის დუქნების გამართვის შესახებ. სტეფანოვის აზრით, ამ საქმის შემუშავება უნდა მიენდოს გარეშე კაცს და არა გამგეობას ან კომისიას. ეს კაცი უნდა წავიდეს სხვა ქალაქებში, სადაც დუქნებია, და ადგილობრივ შეისწავლოს ყოველივე. ასე მოქცეულან, სტეფანოვის სიტყვით, სხვა ქალაქებში.

◆ ამას წინად მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა ბ-ნმა მედვედევმა შეატყობინა გუბერნატორს, რომ შარშან ტფილისის მაზრაში პურის ნათესს გაუჩნდა ერთგვარი ჭია, რომელიც ძირს უღრღნიდა. რწმუნებულმა სთხოვა გუბერნატორს, რაიმე ღონისძიება იხმარონ, რომ ამ სენმა წელსაც არ ავნოს ნათესობას. როგორც მაზრის უფროსის მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, წარსულ წელს აღნიშნულ სენს მაგდენად საგრძნობელი ზარალი არ მიუყენებია მცხოვრებთათვის. გუბერნატორმა შეატყობინა ეს გარემოება რწმუნებულს და სთხოვა დანიშნოს სპეციალისტი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მავნე ჭიის თვისება. რწმუნებულმა ეს საქმე დაავალა ბ-ნ სპეშნევს, რომელიც აპრილში შეუდგება გამოკვლევას.

◆ ახალქალაქის მაზრაში ხელ-ახლა მოუხშირა თურმე მიწის ძვრამ. ჯერ-ჯერობით საგრძნობლად მიწა არა ძრულა, მაგრამ მცირე შერყევაც საკმაოა, რომ ხალხი შიშს მიეცეს. მიწის ძვრა შეუმჩნევიათ რამდენჯერმე დეკემბერსა, იანვარსა და თებერვალს. უფრო ძრიელ იძრა მიწა 17 თებერვალს, ღამე. დედა-მიწის გულიდან გრგვინვაც კი ისმოდა თურმე.

◆ ტფილისელმა ვაჭრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე დაუბრუნდეთ ის გადასახადი, რომელიც ბაზარში ვაჭრობისათვის 23 თებერვალს გამოერთვათ, რადგან ამ დღეს სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ვაჭრობა აღარ მოჰხდა. ვაჭრები თხოულობენ 23 თებერვალს მოკრეფილი ფული 2 მარტის გადასახადში ჩაირიცხოს.

◆ ქალაქის შუაგულში ორად-ორი ბაღია მხოლოდ—ალექსანდროვისა და პუშკინისა, სადაც ხალხი სასეირნოდ დადის. თუმცა სხვა სასეირნო ადგილი ქალაქის შუაგულში არ მოიპოვება, მაგრამ ჩვენი თვით-მმართველობა ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და ალექსანდროვის ბაღს ხშირად კვირაობით აკეტინებს ხოლმე. ამ ბოლოს დროს, მაგალითად, სამი კვირაა ბაღი ზედი-ზედ დაკეტილი იყო. საინტერესოა ვიცოდეთ, რასა ჰფიქრობს ქალაქის გამგეობა ამ ბაღის დაკეტვის დროს?

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, გუშინ, 4 თებერვალს, საგუბერნიო ინჟენერმა და ქალაქისა და საგუბერნიო საამშენებლო განყოფილების ტეხნიკოსებმა დაათვალიერეს მუხრანის ბორანი. იმათის აზრით, მოიჯარადრემ უნდა შეაკეთოს მცირედ ბორანი და შემდეგ შეუძლიან ამუშაოს. იჯარის გათავების შემდეგ, კომისიის აზრით, ბორანი სულ ერთიან უნდა გადაკეთდეს. ქალაქის გამგეობამ ერთ ტეხნიკოსს უკვე

პრესსა

19 თებერვალს, ბატონ-ყმობის გადავარდნის დღეს, რუსულ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი მოგონება და წერილი დაიბეჭდა. სხვათა შორის გრაფმა პავლე ტოლსტოიმ მოაგონა მკითხველ საზოგადოებას აზრი უნკოვსკისა, რომელმაც დაახასიათა ის დრო. უნკოვსკი ტვერის თავად-აზნაურთა დეპუტატი იყო. აი, რასა სწერდა უნკოვსკი:

„ბატონ-ყმობას ღრმადა აქვს გამდგარი ფესვი ცხოვრების ყველა სფერაში. იმის გავლენას ვერ ასცდნენ ვერც სხვა-და-სხვა დაწესებულების მოსამსახურენი. ბატონ-ყმობის ზერელე გაუქმება საქმეს ვერ ჰშველის; ამ შემთხვევაში ისევ ძველებურად რჩება ყველაფერი: სახელმწიფო ისევ გაყოფილი იქნება ორ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, ბანაკად. ერთის მხრით ყოველგვარ ძალმომრეობათა და უფლებით აღჭურვილი მოხელენი, მეორეს მხრით-კი ყოველ გვარ უფლებას და ხმას მოკლებული დიდი უმრავლესობა მშრომელ ხალხისა. საქმის ასეთი მდგომარეობა ვერაფერი თავმდები იქნება საზოგადოების ბედნიერებისათვის, იგი წარმოშობს მხოლოდ მშიშარ და მხდალ მონებს და არა ნამდვილს, ღირსეულს მოქალაქეებს. ასეთ პირობებში ჩაყენებული ადამიანი ემორჩილება მხოლოდ აუცილებლობას. ის ძალაუნებურად ასრულებს თავის მოვალეობას; ძალას თავის გარეშე, სულ სხვაგანა ჰხედავს, ამიტომ ხშირად კანონს სცილდება, მთავრობის განკარგულებას გვერდს უხვევს. სადაც ადამიანი მოწვეულია საზოგადოების ინტერესების დასაცველად, სადაც იმას შეუგნია თავისი მოვალეობა და დანიშნულება, იქ იგი სცდილობს კიდეც ხელი შეუწყოს მთავრობის განკარგულების სისრულეში მოყვანას.

„ავიღოთ ორი მაგალითი: ერთი—როცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თვითონ ხალხზე, საზოგადოებაზეა დამოკიდებული, და მეორე—როცა სახელმწიფოს ბედ-იღბალი თვითმპყრობელობაზე ჰკიდია. პირველ შემთხვევაში კანონის ფეხქვეშ გამთელელი და დამრღვეველი პასუხს აგებს თვით საზოგადოების წინაშე; მეორე შემთხვევაში კანონის დამრღვეველი საზოგადოების მტერი როდია, იგი მტერია მთავრობისა. საზოგადოება ასეთ დამრღვეველის შესახებ იძახის: „საწყალო, საცოდაოო". „ეს ჩემი საქმე არ არისო",—ამბობს კერძო კაცი, როცა კანონის დამრღვეველსა ჰხედავს. „რისთვის უნდა დაიღუპოს კაციო",—ამბობს მოსამსახურე, როცა ვინმე თანამდებობის აღსრულების დროს უკანონობას ჩაიდენს. ამგვარი თავაზიანობა, ამგვარი პატიება გულგრილობათ იქცევა ხოლმე; საზოგადოება ივიწყებს თავის მოვალეობას.

„უსაფუძლოა ის აზრი, ვითომ თვით-მმართველობა დამღუპველი და საშიში იყოს. პირიქით, თვით-მმართველობა თავმდებია წესიერებისა და მშვიდობიანობისა. იმ ადამიანს, რომელიც საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედებს, თანდათან უძლიერდება სურვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე იმოღვაწეოს, რადგან კერძოდ იმის ინტერესებიც ამას მოითხოვს და რადგან კერძო კაცის ცხოვრება საზოგადოებრივ ინტერესთანაა შეკავშირებული. სადაც ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნავენ კერძო კაცნი, იქ ყოველთვის ნაკლებია ხალხის გაჭირვება. გარდა ამისა, თემის დამოკიდებული მართებლობა ერთად-ერთი სკოლაა სახელმწიფო მოღვაწეთა მოსამზადებლად. ნიჭსა და გონებას ფართო ასპარეზი ეძლევა ფრთა გაშალოს საზოგადოების პირდაპირ ზედამხედველობის ქვეშ; მთავრობას საშუალება ეძლევა სხვა-და-სხვა თანამდებობა გამოცდილ მოღვაწეთ მიანდოს.

„საიერარქიო ბიუროკრატიზმის დროს კი ადამიანი თავისს ნებით მოქმედობს. იგი თავისთავად პასუხის მგებელი არ არის. ადამიანი ამ შემთხვევაში ასრულებს მხოლოდ უმაღლეს მთავრობის მოწერილობებსა და განკარგულებებს; იგი მანქანებრივ აღმასრულებელია და სხვა არაფერი. აქ უმაღლეს თანამდებობას აძლევენ არა იმას, ვინც ღირსია, არამედ იმას, ვინც მოთმინებაში გაატარა საუკეთესო დრო. განა შეიძლება ასეთი ადამიანი ხალხის ინტერესების დამცველი გაჰხდეს?

„დამოუკიდებელმა მმართველობამ რომ მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას, საჭიროა მოისპოს საზოგადოების ჯგუფებად და წოდებებად დაყოფა. ისტორია გვეუბნება, რომ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება. უსაფუძვლოა იმისი თქმა, ვითომ რუსეთისთვის მავნებელი იყოს იმ გზაზე სიარული, რომელზედაც სხვა ხალხნი და სახელმწიფოები დადიან. დაბალ საფეხურზე მდგარი ხალხი თანდათან იძენს იმ უფლებებს, რომელიც წინად ბრწყინვალე წოდების უპირატესობას, იმის საკუთრებას შეადგენდა. ხალხის წოდებრივად გათანასწორება, ე. ი. წოდებრივ უპირატესობის გაუქმება, ისტორიული კანონია. ამიტომ კომიტეტმა საჭიროდ სცნო გაჰყვეს ამ ისტორიულს კანონს და იმის თანახმად იმოქმედოს; კომიტეტი წინააღმდეგია იმისა, რომ ხალხის წარმომადგენელნი გამოირიცხნენ მართვა-გამგეობიდან: ეს რევოლიუციონურ იდეის დათესვა იქმნებოდა თვით საზოგადოებაში. გლეხის მიერ მონაწილეობის მიღება გამგეობაში ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობას; როცა ართმევ ან არ აძლევ ამ უფლებას, იგი მეტად საშიშია; ბოლოს მაინც შეიგნებს, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა და, რაც უნდა ძვირად დაუჯდეს, ეცდება კიდეც მოიპოვოს ეს უფლება. საფრანგეთის ისტორია გასაკვირ მაგალითს იძლევა ამისას.

„თვით-მმართველობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება—აი, რა არის წესიერებისა და მშვიდობიანობის მომასწავებელი. თუ კაცმა არ იცის, რა ხდება იმის გარშემო, რისთვისა ხდება და როგორ, თუ იმას არ შეუძლიან დაიცვას თავისი და იმ წრის ინტერესები, რომელშიაც ტრიალებს, იმ შემთხვევაში გულ-გრილად უყურებს ყოველ გვარს ცვლილებას და წინმსვლელობას.

მიანდო ახალი ბორნის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

◆ 7 მარტს მოხდება შეერთებული კრება გამგეობისა, კომისიისა და ტეხნიკოსთა საჰიდრავლიკო სადგურის გამართვის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

◆ 3 თებერვალს ბაქოში წავიდა გზათა სამინისტროს სასწავლებლების საოლქო ინსპექტორი ბ-ნი დერმიდონდოვი. დერმიდონდოვმა დაათვალიერა რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი და საჭიროდ სცნო იმის გაფართოვება და გადაკეთება. მუშაობას ამ გაზაფხულზევე შეუდგებიან.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ტფილისში განზრახულ მარიამ მაგდალინელის სახელობის თავშესაფარის წესდება.

◆ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ზუბალაშვილის სახელობის შეუძლოთა სახლის აგება, გადასწყვიტა მუშაობას შეუდგეს და სახლის საძირკველი ჩაჰყაროს სუდებნი ქუჩაზე. კომისიას აზრადა აქვს სამუშაო იჯარით გასცეს.

◆ ტფილისში, როგორც „ტიფ. ლის."-ს გაუგონია, ინტელიგენტთა ერთ წრეს განუზრახავს საპედაგოგიო საზოგადოების დაარსება. წესდების პროექტი უკვე შეუმუშავებიათ. წევრად ჩაწერა, ამ პროექტით, არა პედაგოგთაც შეუძლიანთ.

◆ წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება უფულობისა გამო ძალიან შევიწროვებულია. სამწუხარო ის არის, რომ საზოგადოება ამ მიზეზით მაგდენად ველარ მოახერხებს ვაზის სამკურნალოდ საჭირო იარაღისა და წამლების მიწოდებას მსურველთათვის. საზოგადოებას აზრადა ჰქონდა სხვა-და-სხვა ადგილას თავის საწყობის განყოფილებანი გაეხსნა, მაგრამ ეხლა, ვინ იცის, უფულობისა გამო შესძლებს თუ არა ამ საქმის განხორციელებას!

◆ გუშინ-წინ ტფილისზე გზად გაიარა ბაქოში მიმავალმა ხუთმა ინგლისელმა. ამ ინგლისელებს აზრადა აქვთ დაწვრილებით დაათვალიერონ ნავთის წარმოების საქმე ბაქოში.

◆ ტფილისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ახალქალაქის რწმუნებულთა მიერ შედგენილი ამა მდგომარე წლის შემოსავლის აღრიცხვა. სულ შემოსავალს მოელიან— 12,500 მანეთს.

◆ დღეიდან ქალაქში ხორცის ახალი ნიხრი ძალაში შედის.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა დიმიტრიევმა სთხოვა ქალაქის გამგეობას გადასდოს 4,500 მანეთი იმ სომეხ-გრიგორიანთა სამრევლო საეკკლესიო სკოლებისათვის (9 სკოლაა), რომელიც, უმაღლესის ბრძანებით, სამოსწავლო უწყების ხელში გადავიდა. მოურავის მოადგილემ აცნობა, ამ თხოვნას საბჭოს ვერ გადავცემ, რადგან შარშან ასეთივე თხოვნა არ შეიწყნარაო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ა. მ. ბულგაკოვი, როგორც გავიგეთ, მანჯურიის რკინის გზაზე გადაჰყავთ. იმის ადგილას ჰნიშნავენ მეორე თანაშემწეს გ. ე. ბერნდს.

◆ გუშინ აღნიშნული გვქონდა, რომ სახაზინო პალატის უფროსმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას, ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავის შესანახად გადაწყვეტილი ყოველ წლიური შემწეობა 1030 მან. გაგზავნოს ხაზინაში. ქალაქის გამგეობამ შეატყობინა პალატის უფროსს, რომ გამგეობას უკვე გარდახდილი აქვს როგორც 1901 სა, ისე 1902 წლის ფული.

◆ ორშაბათს,3 მარტს, პოლიციის მე-7 ნაწილში პოლიციელებმა დააპატიმრეს მიხეილ და ვართან დიაროვები, რომელთაც სიღნაღის მაზრაში კამბეჩების მოპარვა და აქ ტფილისში იმათი გასაღება ჰბრალდებათ. დიაროვები უკვე გაგზავნეს ეტაპით სიღნაღის მაზრის უფროსთან.

◆ რედაქციამ მიიღო: 1) „Геологія Армянскаго нагорья", ოროგრაფიული და გეოლოგიური აწერილობა, გ. აბიხისა; 2) Извѣстія Кавк. Отд. Имп. Русск. Геогр. Общества.

◆ თელავის მაზრის სოფელ კონდოლიდან გვატყობინებენ, რომ იქ ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს კისისხევის მცხოვრებ ნიკოლოზ გოცირიძის თივები გადაუწვავთ.

◆ ხვალ, 6 მარტისათვის, სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: იასონ ხომერიკისა და თედორე მელქაძისა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ, ფიდო კერდიკაშვილისა, რომელსაც ქალის გაუპატიურება ჰბრალდება, და სხვათა.

◆ ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულმა ს. დ. მახარობელიძემ საჩივარი მიართვა გუბერნატორს ხარჯის ამკრებ მამასახლის ხოსროევზე. იგი თხოულობს პასუხის გებაში მიეცეს ხოსროევი მახარობლიძის შეურაცხებისთვის. მახარობლიძე სწერს, 1 მარტს მოურავის ბულდანოვის ნებართვით შეველი მოქალაქეთა გამგეობაში ცნობების მისაღებადაო. იქ შელაპარაკებულან, რომლის დროსაც ხოსროევს გინება დაუწყია და წიხლიც ჩაურტყამს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში ვსწერდით ვაჟთა პირველ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრების შესახებ. შეცდომით ნათქვამი იყო, რომ საზოგადოებამ შარშან ამდენითა და ამდენით შემწეობა აღმოუჩინა მოსწავლეთაო. ის ფული, რაც ანგარიშშია მოხსენებული, საზოგადოებამ შარშან კი არა, ეხლა გადასდო მოსწავლეთა დასახმარებლად.

◆

რუსეთის ქრონიკა

◆ უწმ. სინოდის სამოსწავლო კომიტეტთან არსდება განსაკუთრებული საგამომცემლო კომისია. ამ კომისიამ უნდა გამოსცეს ყველა სახელმძღვანელოები, რაც სასულიერო უწყების სასწავლებლებისათვის არის საჭირო.

◆ ყაზანის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება მიწათმოქმედების სამინისტროს ადგილსა სთხოვს უფის გუბერნიაში. საზოგადოებას აზრადა აქვს დააარსოს სანატორია ყველა უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეთათვის.

◆ ამა წლის 18 აპრილიდან რკინის გზებზე მგზავრთათვის ახალი ტარიფი იქმნება შემოღებული. როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ბევრ გზაზე სამგზავრო ტარიფი გადიდებული იქმნება თურმე.

◆

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

წაიკითხეს და ცუდად მოისმინეს საბჭოს უკანასკნელ ორი კრების ჟურნალები. მერე ხმოსანმა ნ. ა. ხუდადოვმა მოინდომა ქალაქის ზოგიერთ საქმეებზე გამგეობას შეჰკითხებოდა, მაგრამ თავმჯდომარემ, მოურავის მოადგილემ შესტაკოვმა განუმარტა: თუ ისეთ საგნებზე შეეკითხებით, რომელიც დღევანდელ საქმეთა სიაში აღნიშნულს საგნებს შეეხება, მოგცემთ ნებასაო, წინაამდეგ შემთხვევაში, კანონისა და სენატის განმარტების თანახმად, ნებას არ მოგცემთ შეეკითხოთ და მორიგ საქმეების გარჩევას შეუდგებითო. ბევრი ეცადნენ ერთხელვე მიღებული წესი შეკითხვისა ამ დღისთვის არ დარღვეულიყო, მაგრამ თავმჯდომარემ თავისი მაინც გაიტანა და მორიგ საქმეთა მოხსენებას შეუდგა.

პირველად მოხსენდა საბჭოს გამგეობის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ვითხოვოთ ქალაქში დაბინავებულ ჯარების ბინებისათვის გადასახადის გამოღებაში ქალაქს ფულად დახმარება აღმოუჩინონ ხაზინამაო.

ამ საჭიროებისთვის სულ 13 ათასი თუმანი უნდა იხადოს ყოველ წელს ქალაქმა და ამის ნახევარს 6500 თუმანს ხაზინა ეწევა ქალაქს. ამის კვალობაზე ეხლაც ამდენის დახმარების სათხოვარის აღძვრას სთხოვდა გამგეობა საბჭოს. ზოგიერთებმა ის აზრიც წარმოსთქვეს, რატომ მეტს არა ვითხოვთ, შესაძლებელია ეს ხარჯები უფრო მეტადაც შეგვიმცირონო. ბოლოს მაინც გამგეობის მოხსენება მიიღო საბჭომ.

მერე მნაცაკანის ხიდის იჯარით გაცემაზე ჩამოვარდა კამათი. როგორც გამგეობის მოხსენებიდან აღმოჩნდა,ამ ხიდის შემოსავალი წლითიწლობამდე კლებულობს თურმე და იჯარასაც ამიტომ ცოტას იძლევიან ვაჭრობის დროს. გამგეობამ ხიდის შემოსავლის შემცირება იმით ახსნა, რომ ამ ხიდს ადრე შემოსავალი საქონლის გასვლა-მოსვლით შემოსდის და ამ ბოლოს დროს საქონელს ცოტას მიერეკებიან ამ ხიდით. უკანასკნელი ხელმეორედ ვაჭრობა 24 თებერვალს ყოფილა დანიშნული, მაგრამ მსურველი ამ ხიდის იჯარით აღებისა არავინ გამოცხადებულა თურმე, პირველ ვაჭრობაზე-კი, 11 თებერვალს, ორი ყოფილა მსურველი და ამათგან უმეტესი იჯარის ფული ერთს გამოუცხადებია ექვსასი თუმანი, მაშინ როდესაც წინა წლებში შვიდას თუმანზე გაცილებით მეტს იძლეოდნენ იჯარასაო. ამიტომ გამგეობას 24 თებერვლის ვაჭრობა არ დაუმტკიცებია და სთხოვდა საბჭოს, ისევ ქალაქის ხელში დატოვოთ მნაცაკანის ხიდის შემოსავლის გამგეობაო.

ხმ. ი. მ. ალიხანოვი, მ. ავთანდილოვი და ბევრი სხვანი ამტკიცებდნენ: ქალაქმა დიდი ხანია და ბევრჯელ დაგვიმტკიცა, რომ ხიდების შემოსავლის მართვა-წარმოება არ შეუძლია; ვერის ხიდის შემოსავალი ქალაქის ხელში არ იქმნა, ვერ აღემატა რამდენისამე წლის განმავლობაში ათას თუმანს, მაშინ როდესაც კერძო კაცის ხელში ამ ხიდის შემოსავალმა იმდენი იმატა მოკლე ხანში, რომ დღეს 21 ათას მანეთს გვაძლევსო. ამიტომ ისევ ვაჭრობით გაეცეს მნაცაკანის ხიდის შემოსავალიცაო. თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ამბობდა, ალბად! მძიმე პირობებით თუ იძლევა ხიდი და ამიტომ მოიჯარადრენიც უფრთხიან საქმის ხელის მოკიდებასაო. ამიტომ საჭიროა ამ იჯარის პირობები გადაიხედოს და შესწორდეს ისე, რომ არც ქალაქმა იზარალოს და მოიჯარადრეთაც საქმე გაუადვილდესო.

ხმ. ა. ევანგულოვმა ისარგებლა ამ საკითხით და თავმჯდომარეს შეეკითხა, რა მდგომარეობაშია მუხრანიანთ ქუჩიდან მტკვარზე ბორანის გახსნის საქმეო, რადგან ეს ბორანი რამდენიმე თვეა შეკრულია და არ ჰმუშაობსო. ახლა ამ საგანზე ჩამოვარდა ლაპარაკი და კამათი. ხმ. ა. ლულაძემ თავმჯდომარეს უსაყვედურა: თქვენ რომ ერთხელვე მიღებული წესი შეკითხვისა დღეს არ დაგვერღვიათ და ყველა შესაკითხი საგნები პირველშივე მოგვესმინათ, როგორც აქამომდე ჩვეული იყო საბჭო, ჩვენც პირ-და-პირ გასარჩევ საგანს არ გადავუხვევდით, გულ-დასმით მოვისმენდით და დროზე გადავწყვეტდითო. მნაცაკანის ხიდიდან შემოსავლის შემცირებას ერთი გარემოებაც დიდად ხელს უნდა უწყობდეს: ამ ხიდზე დიდ-ძალ ცხვარს მიერეკებიან და მთავრობის მიერ დანიშნული ბეითალიც, თანახმად ახლად შემოღებულის სავეტერინარო წესების ძალისა, ამ ხიდის ყურში აჩერებს ცხვრის ფარას და აქ ათვალიერებს. რა თქმა უნდა, ცხვრის პატრონი დიდ გაჭირვებაშია, რადგან ხშირად ორ-სამი დღე დგა ცხვარი ამ ადგილას უბინაოდა და უჭმელი. ამიტომაც ერიდებიან ამ ხიდით ცხვრის დენას და ხიდსაც ამით კარგა შემოსავალი აკლდება. საჭიროა ამის წინააღმდეგი საშუალებაც იხმაროს ქალაქმაო.

საბჭომ დაადგინა: ხიდი ისევ იჯარით გაიცეს და საიჯარო პირობები ხელ-ახლა გადასინჯოს

„კომიტეტმა საჭიროდ სცნო მოსამსახურენი და მოხელენი თავიანთ დანაშაულისათვის პასუხის მგებელნი იყვნენ სასამართლოს წინაშე. სასამართლომ უნდა განიხილოს საქმეები და დანაშაულობანი მოწმეთა შემწეობით. არავითარი საბუთი არაა იმისა, რომ თანამდებობის კაცი გამოირიცხოს ამ საერთო დადგენილებისაგან. მთავრობის კანტროლს აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ფორმალური წესები ყოველთვის ჰფარავს ბოროტ-მოქმედებას. ცილის-წამებისაგან დაგვიცავთო—ამბობს ბევრი. მაგრამ ცილის წამება ხდება იქ, სადაც საქმე ჩუმად, ფარულად კეთდება; ცილის წამება მოისპობა მაშინ, როცა შეაშუქებს ყველგან გამოქვეყნებისა და გამომჟღავნების შუქი. ამგვარ სამართლისა ეშინიან მხოლოდ დამნაშავეს და შორსაც გაურბის... უდანაშაულო მხოლოდ აქა ჰხედავს ერთად-ერთ ხსნას ცრუ და ყალბ ბრალდებისაგან. ყველაფრის გამომჟღავნება და გამოქვეყნება—რა მშვენიერი, რა დიდებული სიტყვებია! გონებისა და ჭეშმარიტების სინათლე—რა კარგია!

„მთელი აღმასრულებელი უფლება მოხელე ბიუროკრატთა ხელშია, რომელნიც ხალხის ინტერესებს სრულიად არაფრად აგდებენ. მთელის ხალხის ბედ-იღბალი მთავრობის აპეკუნობის ხელშია. არც ერთ წვრილმან საქმეს საზოგადოებას არ ანდობენ; ყველაფერი უმაღლეს მთავრობის ბრძანებითა და განკარგულებით კეთდება. ხალხს იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ შეერთებულის ძალით მდინარეზე ხიდი გასდოს, არა აქვს ნება წერა-კითხვის სწავლებისთვის მასწავლებელი მოიწვიოს,—ყველა ამისთვის მთავრობის ნება რთვაა საჭირო. ცენტრალიზაცია უმაღლეს საფეხურამდეა მიღწეული. გარდა ამისა, აღმასრულებელ დაწესებულების ხელშია სამეურნეო, საპოლიციო, სამოსამართლო და საგამომძიებლო საქმეები. ადამიანის პიროვნებას როგორც უნდათ, ისე ექცევიან...

„დღევანდელ პირობებში სახელმწიფო სამსახური სამარცხვინო ხელობად გახადეს ადამიანურ ღირსებას მოკლებულმა მოხელეებმა. ამ გვარმა მდგომარეობამ და მთავრობის განუსაზღვრელმა აპეკუნობამ მეტისმეტად შეაფერხა ხალხის ცხოვრება. ჩვენი ადმინისტრაცია მთელი გროვაა ათასგვარ უკანონობისა და ძალმომრეობისა, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი. ამგვარ წყობილებაში კანონი აღარ არსებობს, გამეფებულა და ბატონობს მხოლოდ ერთი თავაშვებული, აღვირწახსნილი ძალმომრეობა და თვითნებობა, რომელსაც კერპად გაუხდია მხოლოდ მარტო ფული და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

„ამბობენ, ვითომ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება ბოროტების აღმოსაფხვრელად, მაგრამ ვერ სარგებლობს თავის უფლებებითო. მართალია განა ამგვარი აზრი? სადაა ის უფლებები, რომლის წყალობითაც შეიძლებოდეს უკანონობის მოსპობა? ამგვარი უფლებები მხოლოდ ქაღალდზეა და არა ცხოვრებაში.

„ქალაქის წოდებას, მაგ., ეძლევა ზოგიერთი კერძო უპირატესობა, მაგრამ საზოგადო საქმეში არავითარი ხმა არა აქვს. ქალაქის საბჭოს, მთავრობის ნება დაურთველად, ვერაფერი გაუკეთებია; ნამდვილად კი ქალაქის სამეურნეო საქმეები საგუბერნიო მართველობის ხელშია. მთავრობის აპეკუნობამ ჩაყლაპა, გაანადგურა ვაჭრობა და მრეწველობა და იმისი საქმე პოლიციას ჩააბარა; ვაჭრობა შეზღუდულია ათას გვარ შემავიწროვებელ კანონებით, ასე რომ პოლიცმეისტერმა თუ მოისურვა, დღესვე დაჰკეტავს კანონიერად მთელ დუქნებს. რა დამოუკიდებლობა, რა თვითმმართველობა უნდა გამოიჩინოს ამ პირობებში მოქალაქეთა წოდებამ?

„ყველაზე უარეს მდგომარეობაში კი გლეხობა იმყოფება. სოფლის საზოგადოება დამოკიდებულია ბიუროკრატიისაგან,რომელსაც არაფრად ეპიტნავება ხალხის ინტერესი. საქმე იქამდე მივიდა, რომ არც ერთი პატიოსანი კაცი სოფლის უფროსად (ბოქაულად) არ დადგება. იმან უნდა სძარცვოს ხალხი და აძლიოს მთავრობას; თუ ასე არ მოიქცა, დაითხოვენ სამსახურიდან. მიზეზი ათასი მოიძებნება. მამასახლისი, მოსამართლე და სხვა ყველა უცოდინარია, არც ერთმა წერა-კითხვა არ იცის, ან თუ იცის, ძალიან სუსტად. საქმის წარმოება კი წერით ჰხდება. მწერალს მთავრობა ჰნიშნავს. მთავრობა სოფელში უცერემონიოთ, ყოველ ფეხის გადადგმაზე არღვევს გლეხის უფლებას. რა უნდა ჰქნას გლეხმა, როცა უკანონოდ ეპყრობიან? წავიდეს, იჩივლოს? ვისთან, სად? პირდაპირ სასამართლოში ჩივილი არ შეიძლება; და პოლიციელი მხოლოდ მაშინ აგებს მოსამართლის წინაშე პასუხს, როცა ამას თითონ მთავრობა დაინახავს საჭიროდ. მივიდეს და სთხოვოს შეწყნობა ამ მთავრობას? არ შეიძლება... ამ ნაირად გლეხი იძულებულია გაჩუმდეს, ითმინოს ათას გვარი შევიწროება და უკანონობა. ვინ არის აქ დამნაშავე? მიზეზი ერთის მხრივ თანამედროვე სისტემაა, მეორეს—ჩვენი განუსაზღვრელი მოთმინება და სიწყნარე. მოხელენი სარგებლობენ ამ გვარ მდგომარეობით, ფეხ ქვეშ სთელავენ ჭეშმარიტებას და სიმართლეს; სცდილობენ აღმოჰგლიჯონ ის [illegible] კი, საიდანაც მოისმის დაჩაგრულ ხალხის ოხვრა, გოდება...

„პატიოსანი ადამიანი მაშინ შევა სამსახურში, როცა ეს სამსახური და თანამდებობა ზნეობრივი და პატიოსანია. ეს უკანასკნელი მაშინაა შესაძლებელი, როცა მოსამსახურე, ან და რაიმე თანამდებობის აღმასრულებელი დამოუკიდებელია თავის საქმის ასრულების დროს, ხოლო ეს ჰხდება მაშინ, როცა არსებობს სიტყვის თავისუფლება, როცა პასუხს აგებენ მოსამართლისა და საზოგადოების წინაშე."

◆

და გადასწორდეს იმ სახით, რომ მოიჯარადრესაც გაუადვილდეს და ქალაქმაც ზარალი არ ჰნახოს.

დიდი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ ხმ. ნ. ხუდადოვის შეკითხვის გამო ტრამვაის ვაგონების მოძრაობისა და მუშტაიდის გვერდით ვიწრო ქუჩაში ცხენების გაჩერების შესახებ. ამ საქმის გამგე საბჭოს კომისიას მიეცა გამგეობისთვის ამის შესახებ ცნობები და ეს ცნობები მისცეს პასუხად ხმ. ხუდადოვის შეკითხვაზე. მართალია, ვაგონები ნელა დადიან, მუშტაიდიდან ვოკზალამდე ოთხი ვაგონი არ დადიოდა, როგორც პირობით მოვალეა „საზოგადოება" და მუშტაიდის გვერდით ცხენების დაყენებაც აკრძალულია, მაგრამ არ შეასრულეს და ამიტომ დავაჯარიმეთ 25 მანეთითაო. არც ხმ. ხუდადოვმა და არც ხმ. ა. ევანგულოვმა არ იკმარეს ასეთი განმარტება ამ საგნისა: 25 მანეთით „ტრამვაის საზოგადოების" დაჯარიმება საქმეს ვერ მოეხმარება და ამ დაჯარიმებით იმას ვერ შევაშინებთო. ხმ. ევანგულოვმა კომისიას დიდი საყვედური გამოუცხადა, თვის მოვალეობას ისე ვერ ასრულებს, როგორც მცხოვრებთა ინტერესი მოითხოვს და, რაც პირობის ძალით შეგვიძლია „საზოგადოება"-ს მოვსთხოვოთო. ცხარედ გამოეკამათა კომისიის თავმჯდომარე ი. სულხანიშვილი, რომელმაც განმარტა, რომ კომისიის შრომა ადვილად შეუძლია ყველას შეამოწმოს, თუ გაისარჯება და საქმეებს გადასინჯავს გამგეობის კანცელარიაშიო.

ცხრა თვე იქმნება საბჭოს გასარჩევად აღნიშნული ჰქონდა სიებში ერთი საგანი—სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ქალაქის მოურავის მოადგილემ არ შეასრულა ამ კომიტეტის დადგენილება, სახელოსნო სასწავლებელში დირექტორობაზე მსურველი მოეწვიათ გაზეთში დაბეჭდილის განცხადებებით. ორშაბათის კრებაზე ეს საკითხი წამოაყენა მ. შესტაკოვმა და თავმჯდომარეობაც თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს დაუთმო. კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ს. ალიხანოვმა განუმარტა საბჭოს, რომ ამ საგნის გარჩევას მაშინ ექმნებოდა მნიშვნელობა, თუ რომ კომიტეტი არსებობდეს; დღეს კომიტეტი აღარ არის და არც ის საყურადღებო გადაწყვეტილებაც, რომელიც საბჭოს ამის შესახებ შეეძლო დაედგინა, გამოსადეგი აღარ იქმნება; ამიტომ ეს საკითხი სრულებით გავუქმოთო. მ. ს. შესტაკოვი ჯერ თანხმა არ იყო ამისა, რადგან საჩივარი მე შემეხებაო, მაგრამ დაჰყვა იმით აზრს, რომ მართლა უადგილოდ-და რჩება ეს საგანი დღეს, როცა კომიტეტი აღარ არსებობს. საბჭომ სრულებით მოხსნა ეს საკითხი.

დასასრულ იმ კომისიის მოხსენება მოისმინეს, რომელიც ჯუკიისა და ავლაბრის ქალაქის საკუთარ საძოვარ ადგილებს განაგებს. კომისიას საჭიროდ უცვნია ამ ადგილებს გარშემო საზღვრები შემოევლოს, თუნდაც თხრილისა; უამისოდ ძნელია ადგილების მოვლა, დარაჯები ვერ შესძლებენ ქალაქისა და კერძო კაცთა ადგილების გარჩევასო. საბჭომ დაამტკიცა კომისიის მოხსენება და ჯუკიისა და ავლაბრის ადგილებში საზღვრების გასავლებად 150 თუმანი გადასდო.

წერილი ქიზიყიდან

მღვდლის გაძარცვა.—სხვა ქურდობანი.
—საქონლის ჭირის მოსპობა

ცოტა ხანს მიყუჩდა ქიზიყში ყაჩაღობა. თუმცა-კი ქურდ-ბაცაცები თავისას არ იშლიდნენ, მაგრამ ხალხმა მაინც ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა, ყური მოიყრუა და მიეცა ისევ ძველებურ უზრუნველობას და გაუფრთხილებლობას. დიდს ხანს არ გასტანა ხალხის ძილმა და მალე ისევ თავზარი დასცეს ყაჩაღებმა და ისევ ააწრიალეს ხალხი. ღამის ოთხი რაინდი, რომელთაგან მარტო ერთსა ჰქონია ბერდანის თოფი, მხოლოდ დანარჩენთ რევოლვერები და ხანჯლები, დაეცნენ ამ დღეებში სოფ. ვეჯინის მღვდელს მ. გ—ვს ღამის თერთმეტს საათზე და რაც რამ ებადა, ფულად თუ ძვირფასი ნივთები, სულ წაიღეს, თვით მღვდელიც დასჭრეს მარცხენა ფერდში და მთელ იმის სახლობას და მეზობლებს შიშის ზარი დასცეს. წელს მაინც ძალიან გადაემტერნენ მღვდლებს და ამ ცოტა ხანში ეს მესამე მღვდელი გაძარცვეს ერთსა და იმავე საბოქაულოში. ასეთი გაძარცვა კი ბევრი არ ახსოვს ქიზიყს. მოსულან თუ არა ყაჩაღები, მაშინათვე თოფი და დაუცლიათ. მერე მისდგომიან მღვდლის სახლის ფანჯარას და შეუძახნიათ მღვდლისთვის, მოიტა რაც ფული და ვერცხლეული გაქვს, თუ არ გინდა მოგკლათო. ცოლს მაშინათვე უახლებია ფულიც და ნივთებიც. ამ ნივთების ზიდვის დროს მღვდელიც მოსულა ფანჯარასთან და, აი, ამ დროს დაუცლიათ თოფი და დაუჭრიათ. როცა დარწმუნებულან, რომ მთელი ვერცხლეული და ფული მიიღეს და ფოთფოლიასაც შეუფიცნია, მეტი აღარა გაგვაჩნია-რაო, გამომშვიდობებიან და არხეინად გასდგომიან უყაინითვე და თოფების სროლით სოფლის თავში მდებარე ტყისაკენ. საქმე ის გახლავთ, რომ ყაჩაღების ყიჟინაზე მთელი ნახევარი სოფელი შეურიდია და თურმე შორიდან უყურებდნენ და მოწამენი იყვნენ ამოდენა ხალხი, როგორ სძარცვავდნენ იმათ მღვდელს. ხალხს ეუბნებოდნენ, არ გაჰბედოთ ახლო მოსვლა, თორემ წუთისოფელს გამოგასალმებთო.

ამას წინად დღიურ-მზიურ მიუხდა მაღაროს ბოლოზე წისქვილში სამ მეწისქვილეს ოთხი შეიარაღებული თათარი. წაართვეს რაც ნაღდი ფული ჰქონდათ, ააგდებინეს თვით მეწისქვილეებსვე ცხენებზე ფქვილი, გაიყოლეს კარგა შორს და შემდეგ გამოუშვიდობნენ, როგორც მეგობრებს, და თანაც ურჩიეს, თუ თქვენთვის კარგი გინდათ, არავის უამბოთ ეს ჩვენი თავხედობაო. ახლა ხომ ვიღაც ციმბირიდან გამოქცეული შეერთებია თავისთანავე საციმბიროთ გამზადებულ თათარს და ეს ორი თავზე ხელ-აღებული თათარი უსუფ-ოსმან-ოღლი და ალიასკერდი ჭაჯი-მამედ-ოღლი მოსდგომიან ქიზიყს ქოდალოს საბოქაულოდან და თურმე ძალიან ემუქრიან მთელ მაზრას.

სოფ. ვაქირშიაც ძალიან გახშირდა ამ ბოლოს დროს (თორემ სადღა არ გახშირდა) ქურდობა, დაწვა-დაბუგვა ხალხის ნაშრომისა და ვაზების აჩეხვა. აი, ამაების თავიდან ასაცილებლად და ბოროტ-კაცთა ასალაგმავად სოფელმა მაჭმართა სოფლის განაჩენს აგ-კაცთა განსადევნად. ამიტომ შეიკრიბნენ დუქნების წინ (ახლა მომეტებულ ნაწილად დუქნების წინ ჰხდება ხოლმე კრებაობა, რომ თუ ვისმე მეტის ყვირილით ყელი ამოუხმება, იქვე ჩაისველოს და ჩაიყოლოწინოს ყაზის წვენით). ილაპარაკეს, ითათბირეს და იმ აზრს დაადგნენ, რომ დაასახელონ ბოროტი კაცი. რომ უფრო შეუცდომლად ემოქმედნათ, ამოირჩიეს რამდენიმე კაცი და მიანდეს იმათ საეჭვო კაცების დასახელება. შეიქმნა დაპარება, დაძახნა, ჩურჩული, კურკური, პატიაობა, პატიოსნების ცემა, სადილები, ვახშმები... სწორედ ამ დროს კი აქა-იქ ისევ დაიკარგა ცხენები და ერთ მგზავრ თუშს ხომ თითქმის თვალ-და-თვალ მოსტაცეს ცხენი და ქვეშით გაამგზავრეს 60 ვერსის მანძილზე—შირაქში. ბოლოს მაინც შეაგროვნეს, დაასახელეს რამდენიმე კაცი, ამათში ხუთი დაიჭირეს და ციხეში უკრეს თავი. იქ გაატარებინეს რამდენიმე დღე ამ ხუთ კაცს და ახლა ისევ გადაიფიქრეს და გაანთავისუფლეს, განაჩენის დადგენა და ბოროტ-კაცების გადასახლება კი შემდეგისათვის გადასდეს.

ქურდობასა და აგ-კაცობას თუ არა ეშველა-რა და ყაჩაღებიც ჩაეცივნენ ქიზიყს, საქონლის ჭირს კი ბოლო მოეღო. ამ ბოლოს დროს სოფელ საქობოში-და მძვინვარებდა. ახლა აქაც აუცრეს საქონელს—სულ სამს სულზე მეტს და ამათში 6—7 სული თუ მოჰკვდა, დანარჩენი გადარჩა. ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა ხალხმა და საყვედურით გაიძახის—თუ კი ასე ადვილად მოგვვლებოდა, მაშ რაღას გვტანჯავდითო. პროვინციელი.

წერილი ფოთიდან

ნავოსნობა რიონზე

მოგეხსენებათ, ჩვენსკენ ნავოსნობას ძალიან მისდევენ. ნავოსნობენ უფრო იმ სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც მდინარე რიონისა, ფიჩორისა და პალიასტომის ტბის მახლობლად მდებარეობენ. მიმოსვლით ძველადვე განთქმულია რიონი, რომელშიაც წინად თუ დაბა ორპირამდის ადვილად ადიოდნენ გემები, ახლა ჩალადიდამდე ნავსაც კი უჭირს ცურვა. ამისათვისაა, რომ რიონში მენავეებს ხშირად უბედურება ემთხვევათ. სოფლელი ხშირად მდინარით ეზიდება ფოთში გასაყიდად სიმინდს, ხე-ტყეს, აგურს და სხვა ნაწარმოებს. ორპირიდან დაწყებული რიონი შავ ზღვამდის ისე ზანტად მიიზლაზნება, რომ მენავე გზაში ბევრ დროსა ჰკარგავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მდინარე დაკლებულია. ამისათვის ხალხი ნავოსნობას მაშინ უფრო ეტანება, როცა რიონი ადიდებულია და წყალი მარდად მიმდინარეობს. ადიდებულ მდინარეში მენავეს, რასაკვირველია, უფრო თვალყურის დაჭერა უნდა; საუბედუროდ, ამას ბევრი ივიწყებს. იდებს სოფლის მწარმოებელი უზომო ტვირთს ცალფა ნავზე და ხშირად ერთის კაცის ამარა ალალ-ბედზე გაუშვებს გზაზე, სადაც ხშირად ფათერაკს ემთხვევა. ერთი ასეთი ფათერაკი ამას წინად მოხდა რიონში, როდესაც აგურით დატვირთული ვებერთელა ჩალადიდელი ნავი და ერთი მენავე წყალმა შთანთქა. ამ უბედურებას 28 თებერვალს კიდევ მეორე მიემატებოდა, რომ მარტოხელა მენავეს, როდესაც იმისი ხე-ტყით დატვირთული ნავი ადიდებულმა რიონმა ხიდს მიახალა, ბოძისათვის ხელი არ ეტაცნა და ისე ვაი-ვაგლახით ხიდზე არ აცოცებულიყო. ნავი არ დამტვრეულა, მაგრამ მაინც იღუპებოდა, რადგან რამდენისამე წუთის შემდეგ რიონს ნავი ზღვის ტალღებისათვის უნდა მიეცა. საბედნიეროდ, აქაც გამოჩნდა რამდენიმე მამაცი, რომელთაც პატრონის ყვირილზე დატვირთული ნავი დაღუპვას გადაარჩინეს.

იანეთელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მარტი

პეტერბურგი. დღეს დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული საიმპერატორო გვარეულობის დასაკრძალავს—პეტრე-პავლეს ტაძარში ბრძანდებოდა.

—2 მარტს არხანგელსკის ლოტბარობით სასულიერო კონცერტი გამართა პეტერბურგის ეკკლესიების მგალობელთა შეერთებულმა გუნდმა. მგალობელთა რიცხვი 515 კაცი იყო. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, ალექსანდრა თეოდორეს ასული და საიმპერატორო გვარეულობა.

— დღეს მოსკოვიდან ჩამოვიდა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ.

მოსკოვი. საგუბერნიო კომიტეტმა სასურველად სცნო მომრიგებელ მოსამართლეთა კრებებთან მაზრებში იურიდიული დახმარება დაწესდეს; დაარსდეს სკოლა ინსტრუქტორებისა და ტეხნიურ-სახელოსნოსი ისე, რომ დაკავშირებული იყოს სამაზრო მრეწველობასთან. კომიტეტის კრებები დასრულდა.

ტომსკი. მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ფონ-ვალი.

კარაკასი. მთავრობის ჯარებმა კიდევ დაიჭირეს კარუპანო.

ამსტერდამი. ნიდერლანდის ბანკმა დისკონტო 3-დან $3^1/_2$ $^0/_0$-მდე ასწია.

ნიუ-იორკი. კარაკასიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარმა კუმარებოსთან ინსურგენტებზე გაიმარჯვა.

რომი. პაპმა მიიღო საფრანგეთის ელჩი ნიზარი, რომელმაც სიტყვა უთხრა და ლუბეს სახელობით იუბილე მიულოცა. პაპმა მადლობა გადაუხადა და საუკეთესო სურვილები გამოაცხადა საფრანგეთის დიდებისა და კეთილ-დღეობისათვის.

4 მარტი.

სოფია. როგორც ისმის, გენერალი ცონჩევი და პოდპოლკოვნიკი იანკოვი განთავისუფლებიათ საპყრობილედან.

კოპენჰაგენი. კუმბერლანდის ჰერცოგი და იმისი მეუღლე ქალიშვილითურთ გმუნდენში წავიდნენ.

კიევი. ქალაქის საბჭოს დარბაზში ვლადიმირის ძმობის წლიური კრება მოხდა. თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი ფლაბიანე. მიტროპოლიტმა პარაკლისი გარდაიხადა მრავალჟამიერით სამეფო სახლსა და უწმიდეს სინოდს. მოიხსენეს აგრეთვე სული იმპერატორებისა ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამისა.

სოფია. მთავრობამ საერო კრებაში შეიტანა ხელშეკრულება ფრანგთა სანავოსნო საზოგადოების ფრეისინეთთან დადებულ წესიერ მიმოსვლის მოსაწყობად შავის ზღვის ნაპირად მდებარე ბოლგარიის ნავთსადგურებსა, მარსელსა და გენუას შორის. შედარებით „Deutsche Levant Linie"-ის ხელშეკრულებასთან ეხლანდელი ბევრს უპირატესობას შეიცავს. სუბსიდია 48,000-ია. ვადა სამი წლიწადი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადება!!

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს"
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—6)

ტფილისის
სამარხი კასა

ქართულ თეატრის დარბაზში, მარტის 9 რიცხვს, კვირას, დღის 11 საათზედ დანიშნულია ტფილისის სამარხი კასის წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და მათი ნაცვლებისა. (6—1)

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ გველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი რაფიელ გველესიანი. (20—14)

Дозв. ценз. Тифлисъ, 4 Марта, 1903 г

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)